შვიდწლედის მეხუთე წლის სჯარზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგმოები ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 3 (12515) | პარასკევი, 4 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში საქსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მექანიზებული საკოლოფე ხაზი.

თბილისის ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანების სათავე საწარმომ ორ იანვარს გეგმის გადამეტებით 540 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

ჭიათურის № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ერთ დღეს გეგმის გადამეტებით 50 ტონა მარგანეცი გამოუშვა.

ორ იანვარს თბილისელმა ჩარხმშენებლებმა ახალი ჩარხები გამოუშვეს.

შრომით—ახალი გზუდეები!

ჩვენს დიად სამშობლოში მძლავრად ამობრწყინდა ახალი წელი. ბზე, და მშრომელები შემოქმედებითი ძალებით აღსავსენი შეეგებნენ ახალ წელს, შვიდწლედის მეხუთე წელს.

ძველი წელი ჩვენთვის ძალიან კარგი იყო, — თქვა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ახალი წლის შეხვედრაზე კრემლში. — მან საბჭოთა ადამიანებს ბევრი ბედნიერება მოუტანა. საბჭოთა ხალხმა ახალი წარმატებები მოიკოვა კომუნიზმის მშენებლობაში.

ეს იყო პირველი წელი ჩვენი ხალხის თავდადებული ბრძოლისა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წელი, რომელიც გაცისკროვნებულია პარტიის ახალი პროგრამის იდეებით. ეს იყო წელი ახალი თვალსაჩინო გამარჯვებებისა შვიდწლიანი გეგმის შესრულების, კოსმოსის ათვისების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

კარგი იყო განვლილი წელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისთვისაც. 1962 წელს გაიზარდა იმ სამრეწველო საწარმოების რიცხვი, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს წლის სახელმწიფო გეგმა და დაიწყეს პროდუქციის გამოშვება მომავალი წლის ანგარიშში. კარგი საჩუქარი უძღვნეს სამშობლოს საახალწლოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მშრომელებმა. სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა. 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 6 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

შვიდწლედის მეოთხე წელს ცუდად როდი იშრომეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. ცნობილია ქართველ მეჩაიეთა გამარჯვება. მათ ჩაის კრეფაში მიაღწიეს მიჯნას, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით განსაზღვრულია 1965 წლისათვის, და ქვეყანას მისცეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. კარგი შედეგი მოიპოვეს რესპუბლიკის მევენახეებმაც, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, სოფლის მეურნეობის ადამიანები თავდადებით რომ იბრძვიან შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ავლენენ და წარმოების სამსახურში აყენებენ ახალ-ახალ რეზერვებს. ბევრგან დაიჩქარეს წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ნაყოფიერად მუშაობენ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ზრუნავენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ახლა, როცა 1962 წელი უკვე ისტორიას ეკუთვნის, როცა წარსული საუკუნის ნახევარ-ნახევარ ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში (კურსის შემოღების გამო)

საბჭოთა სკოლას წამყვანი როლი ეკუთვნის ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. სწორედ აქ ეყრება საფუძველი მოზრდილ მოქალაქეთა კომუნისტურ შეხედულებებსა და მორალს, ყალიბდება მათი იდეური რწმენა.

მოსწავლე ახალგაზრდობის იდეური აღზრდის შემდგომ ამბავლობაში დიდი როლის შესასრულებლად მოწოდებულია ახალი საგანი — საზოგადოებათმეცნიერება, რომლის სწავლება დაიწყება მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების გამოსაშვებ კლასებში და ტექნიკუმების უფროს კურსებზე.

„ჩვენ გვინდა, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი, განსაზღვრავდა რა ამ საგნის დანიშნულებას, — რომ ახალგაზრდობა უფრო ღრმად ეცნობოდეს კომუნისტური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრებას კომუნიზმის შესახებ. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდობას სწორად ესმოდეს თანამედროვეობის პრობლემები, უკეთ ზრდიდეს თვისები ახალი ადამიანის თვისებებს, ადამიანისა, რომელმაც უნდა აშენოს კომუნიზმი და იცხოვროს კომუნიზმის დროს“.

საზოგადოებათმეცნიერების კურსი, შეაჯამებს რა ბავშვებსა და ქალიშვილებს მნიშვნელოვანი ცნობებით ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, კომუნიზმზე მოძღვრების დარგიდან, დაეხმარება მოსწავლეებს განაზოგადონ და გაიფართოონ ცოდნა, რომელიც მათ მიიღეს მეცნიერებათა საფუძვლების, განსაკუთრებით სსრ კავშირის ისტორიისა და საყოველთაო ისტორიის შესწავლის დროს. ახალი საგანი შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს ააგონ თავიანთი ცოდნა კომუნისტური მსოფლმხედველობის მწყობრ სისტემად, უკეთ შეიგნონ მარქსისტულ-ლენინური იდეების ყოვლისმძლე ძალა, კარგად გაერკვნენ პარტიის პოლიტიკაში.

ღია კონკურსის შედეგად გამოვლენებულ იქნა ახალი საგნის სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივი. ესენი არიან გ. შახნაზაროვი (ხელმძღვანელი), ა. ბობორიკინი, ი. კრასინი, ლ. ლუშნიკოვი, ო. პისარევსკი და ვ. სუხოდეევი. მათ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო უკვე გამოვიდა.

საზოგადოებათმეცნიერების კურსი ხუთი კარისაგან შედგება. პირველი მათგანი მოსწავლეთათვის მისაწვდომი ფორმით იძლევა ძირითად ცნობებს მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც კომუნიზმის მშენებლობის თეორიული საფუძვლის შესახებ. მეორე კარი მიძღვნილია კომუნიზმის ახალი პირველი ფაზის — სოციალიზმის შესწავლისადმი. აქვე განხილულია სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების საკითხები, რომლებიც წინათ სსრ კავშირის კონსტიტუციის კურსში შედიოდა. მესამე კარის შესწავლისას მოსწავლეები ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ წყობას.

მეოთხე და მეხუთე კარი მოსწავლეებს აცნობს პარტიის ახალი პროგრამის ძირითად პრობლემებს, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებებს. აქ განხილულია „კომუნიზმის მშენებლობის სამი ერთიანი ამოცანა: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ახალი ადამიანის აღზრდა. მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივ განვითარებაში სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მზარდ როლს, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებს, მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. საზოგადოებათმეცნიერების კურსში გაშუქებულია პარტიის თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ნაჩვენებია მისი როლი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ახალ საგანში მეცადინეობა განუყრელად უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. უდიდესი მნიშვნელობა ექნება გაკვეთილებზე კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ცალკეული ნაწარმოებების, უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების გარჩევას.

საზოგადოებათმეცნიერება სწავლების თავისებურ ფორმებსა და მეთოდებს მოითხოვს. აქ გადაჭრით უნდა ავიღოთ ხელი მშრალ აკადემიზმზე მისი უარესი გაგებით. საჭიროა მასწავლებლის მკაფიო სიტყვა. მეცადინეობაზე ფართო გამოყენებას ჰპოვებს საუბრები მოსწავლეებთან, მათი ინფორმაციები და მოხსენებები კურსის ცალკეულ საკითხებზე, სემინარული ტიპის გაკვეთილები.

ბუნებრივია, რომ სახელმძღვანელოთი მუშაობისას მასწავლებელმა ფართოდ უნდა გამოიყენოს მასალები გაზეთებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ფაქტები იმ საწარმოთა ცხოვრებიდან, სადაც მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიან. ახალი საგნის გაკვეთილებს გამდიდრებს ავრეთვე მასწავლებლის მიერ მოყვანილი ცნობები შრომლიური ქალაქისა თუ სოფლის, მხარის, რესპუბლიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესახებ, თხრობა წარმოების მოწინავეებზე, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებზე.

ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სწავლების უფრო სრულყოფილი ხერხების ძიებას, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ მხოლოდ ის მეთოდია კარგი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს მიაღწიოს იმას, რომ მოსწავლეთა ცოდნა უფრო მტკიცე და ღრმა იყოს, რომ ეს ცოდნა გადაიქცეს მტკიცე პირად რწმენად. პრაქტიკულ საქმეებად საზოგადოების სასარგებლოდ. საზოგადოებათმეცნიერების კურსი დიდად უნდა დაეხმაროს ახალგაზრდობას ქცევის ისეთი ნორმების შემუშავებაში, რომლებიც დამყარებული იქნება კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსზე. მასწავლებლის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ მიაღწიოს მასალის შეგნებულ და არა ფორმალურ შეთვისებას, შეაჯაროს ახალგაზრდობას დამოუკიდებელი კითხვა, გაუღვიძოს ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებისადმი.

საზოგადოებათმეცნიერების ყველგან შემოღებამდე ცოტა დრო დარჩა.

ამჟამად რესპუბლიკურ და საოლქო ცენტრებში ეწყობა კურსები საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთათვის. ეს კურსები დაეხმარება პედაგოგებს ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და პარტიის ისტორიის დარგში ცოდნის გაფართოებასა და განახლებაში, სკკპ პროგრამის უფრო ღრმად შესწავლაში. კურსების მუშაობაში მთავარია ლექტორების უნარიანი შერჩევა და მეცადინეობის მიზანსწრაფულობა. საჭიროა, რომ ლექციებს ჰქონდეს არა განყენებული ხასიათი, არამედ ისინი მასწავლებლებს აძლევდნენ კურსთან უშუალოდ დაკავშირებულ მეტ მასალას.

საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებლები სერიოზულ მეთოდურ დახმარებას მიიღებენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსაგან, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისაგან და ხალხთა განათლების ადგილობრივი ორგანოებისაგან. უკვე დროა შევუდგეთ სასწავლო სახელმძღვანელოს შესაბამისად მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნას პედაგოგებისათვის, ვიზრუნოთ თვალსაჩინოების სახელმძღვანელოთა გამოცემისათვის, სასწავლო ფილმების გამოშვებისათვის,

რა თქმა უნდა, საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებლებს შემდეგშიც დასჭირდებათ შუდმივი კონსულტაცია, რჩევა. ამაში მათ დიდი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიული განათლების კაბინეტებმა, პარტიული კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებათა მუშაკებმა. ბევრი რამის გაკეთება შეუძლია პედაგოგიურ და ადგილობრივ პრესას.

ისტორიის ათასობით საუკეთესო მასწავლებელს დაეკალა ახალი საგნის სწავლება. ეს საპატიო, პასუხსაგები პარტიული დავალებაა. და მათ ღირსეულად უნდა გაამართლონ მათთვის გაწეული მაღალი ნდობა.

საზოგადოებათმეცნიერების კურსის შემოღება დიდი მოვლენაა საბჭოთა საშუალო სკოლის ცხოვრებაში.

„პრავდა“, 3/I.

უდანაშაულო „დამნაშავე“

მივლინება მკითხველის თხოვნით

ერთ დღეს საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ კუტალაძე კაბინეტში შესულისთანავე სავაოძელში ჩაეშვა, დაღლილის სახე მიიღო, მხოლოდ რამდენიმე წუთი მოანდომა მაგიდაზე დაწყობილი ქაღალდების გადახედვას, შემდეგ მოიხმო მოლარე-მდივანი და თხოვა მოეყვანათ მისი მოადგილე მიხეილ აბრამიშვილი, რომელიც ამავე დროს პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობს.

მიხეილი მაშინვე თავმჯდომარის კაბინეტში გაჩნდა.

— ჩემო მიხეილ, — თქვა თავმჯდომარემ, — თქვენ სამოსახლო მიწის ნაკვეთის შეცვლა მთხოვეთ. კაცი არ ვიყო, თუ არ გაგიკეთოთ. გვაქვს კარგი ვენახიანი ფართობი, მგონი 0,182 ჰექტარია. ამდენს ვერ მოგცემთ, მაგრამ მოდი ასე გავაკეთოთ, კრების დადგენილებაში 0,1 ჰექტარს ჩავწერთ, დანარჩენი კი თქვენ თვითონ დაიკავეთ, ვინ გაგიგებს...

ასეც მოხდა. მიხეილ აბრამიშვილმა სამოსახლო ნაკვეთი შეიცვალა, საკოლმეურნეო მიწა მიითვისა. ახლა მას 0,554 ჰექტარი აქვს, საკოლმეურნეო წესდებით კი მხოლოდ მისი ნახევარია ვათვალისწინებული. ასე მოიქცა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე, პარტორგანიზაციის მდივანი. ამის შემდეგ სხვა რაღას იზამს!

მადა კოლმეურნეობის ბუხბალტერს აკაკი სხირტლაძესაც გაეხსნა... მან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიმართა:

— თქვენს მოადგილეს კარგი ვენახიანი მიწა მიეცით. მე რა დავაშავე?

— ნუ გეშინია, მე ვეტყვი ჩემს მოადგილეს, რომ კარგი ვენახი შეგირჩიოთ, ისე რომ ვითომ მე არ ვიცი, დანარჩენი თქვენზე იყოს...

არ გასულა დიდი ხანი და კოლმეურნე გეგეჭკორი ჯიღლაძისათვის მოსავლელად მიჩენილი ათასი კვადრატული მეტრი ვენახი ბუხბალტრის განკარგულებაში გადავიდა. უფრო მეტი, შრომადღეები, რომლებიც კოლმეურნეობამ ვენახის სამუშაოზე დახარჯა, ბუხბალტერს ანუგეშა...

ნაწყენი არც კოლმეურნე ზურაბ აბრამიშვილი დატოვეს. მას კოლმეურნეობის 0.06 ჰექტარი ვენახიანი მიწა ისე მისცეს, რომ ამაზე არ უმსჯელია არც გამგეობას და არც საერთო კრებას.

იყო ასეთი ფაქტიც. მიშა აბრამიშვილი ნაკლებად მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაამტკიცა 1.900 კვადრატული მეტრი მიწა მისცა ისე, რომ ამაზე არც კი უმსჯელიათ საერთო კრებაზე.

— აბა რა მექნა? — აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე — მართალია, ზარმაცი იყო, მაგრამ გამოსწორების მიზნით (!) კოლმეურნეობის მიწა მივეცი, თუმცა რა მოხდა, აბა რისი თავმჯდომარე ვარ!..

მას შემდეგ გავიდა დაახლოებით ერთი წელი. მიშა აბრამიშვილის საკითხი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გაიხილა, რომ კარგი ვენახი შეგირჩიოთ, ისე რომ ვითომ მე არ ვიცი, დანარჩენი თქვენზე იყოს...

მივლინება მკითხველის თხოვნით

**„ერთ ადგილას ბალახი ამოსულიყო, ეს ბალახი ამოეგლიჯა, ეს ბალახი ამოეგლიჯა, ეს ბალახი ამოეგლიჯა

საბჭოთა მთავრობის ახალი მშვიდობისმოყვარული ნაბიჯი

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხზე გაზეთ „დეილი ექსპრესისადმი“

ბერლინი. ახალი წლის დასაწყისი, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, აღინიშნა საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივით კაცობრიობის იმ იმედის განხორციელებისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცე მშვიდობა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვით გამსჭვალული წერილი გაუგზავნა ადენაუერს და უპასუხა გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კითხვებზე. ამ წერილსა და პასუხში იგი შეეხო თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა საქმე დასავლეთზეა. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთის სახელმწიფოებმა, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“, 1963 წლის დასაწყისშივე ნათლად უნდა განაცხადონ, თუ როგორ ეკიდებიან სოციალისტური სამყაროს ახალ ინიციატივას. მზად არიან თუ არა უარყონ „ცივი ომის“ საშიში პოლიტიკა, რომელსაც სულ უფრო ახლო მიჰყავდა მსოფლიო უფსკრულის პირას? მზად არიან თუ არა, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი მოითხოვს, შექმნან მშვიდობიანი თანაარსებობის მტკიცე და საიმედო საფუძველი — სვამს კითხვას გაზეთი.

გონი. დიდ ინტერესს იჩენს დასავლეთ გერმანიის პრესა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუსადმი, რომელიც მან ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესს“ მისცა. გაზეთი „ნოიე რაინეიტუნგი“ განმარტავს პასუხს და წერს: „შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელიც ისახება 1963 წელს, მიღწეულ უნდა იქნეს, ხრუშჩოვის აზრით, კომპრომისის გზით. დათმობა დათმობისათვის. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, და ამას ეთანხმებიან დასავლეთის სალად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწეები“. კომპრომისის მიღწევის დიდი შესაძლებლობანი, აღნიშნავს გაზეთი, არის ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციის პრობლემაში.

გაზეთი „დი ველტი“ გამოჰყოფს ინტერვიუს იმ ადგილს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა მთავრობის სახელით აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის 1963 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტოს ყველა ატომური გამოცდა, თუ დასავლეთის ატომური სახელმწიფოები ამასვე იზამენ.

ვარშავა. ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა გაზეთ „დეილი ექსპრესისადმი“ დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთში. გაზეთი „ეიცე ვარშავი“ განმარტავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის პასუხს და წერს: განიარაღება, დასავლეთი ბერლინი და ორი დიდი სახელმწიფოს როლი — აი მთავარი თემები ამ პასუხისა, რომლითაც პრემიერი ხრუშჩოვი განაგრძობს ახალ მშვიდობიან შეტევას, რაც დაიწყო ვრცელ გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე და განავითარა წერილში კანცლერ ადენაუერისადმი. საბჭოთა პრემიერის პასუხი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ახალი წლის წარმატებით დაწყებაა მსოფლიო დიპლომატიაში.

პრაღა. „დრო კომუნიზმის მხარეზეა“, „განიარაღება ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა“, „1963 წელი უნდა იყოს მშვიდობიანი ცხოვრების წელი“, „გავაერთიანოთ მთელი ძალები მშვიდობის დასაცავად“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ პრაღის გაზეთები ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრულ ტექსტს ან დაწვრილებით შინაარსს. „რუდე პრავო“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა განიარაღება ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა. გაზეთი შავი შრიფტით გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუს იმ ადგილს, სადაც გამოთქმულია გონების, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვების რწმენა, და ნათქვამია, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკუთხზორციელებლად არ შეიძლება მტკიცე მშვიდობა იყოს დედამიწაზე.

ტოკიო. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა სპეციალურ საახალწლო ნომრებში თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კითხვებზე. მოსკოვიდან გადაცემულ ცნობაში გაზეთ „მაინიჩის“ კორესპონდენტი ტანიხატა ხაზგასმით აღნიშნავს ოთხ მომენტს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხში. პირველი ხრუშჩოვის მიაჩნია, წერს კორესპონდენტი, რომ 1963 წელი კაცობრიობისათვის იქნება მშვიდობიანი განვითარების წელი. საბჭოთა კავშირი კვლავ განახორციელებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. სსრ კავშირი მზად არის 1963 წლის პირველი იანვრიდან შეწყვიტოს ატომური იარაღის გამოცდა, თუ დასავლეთიც დათანხმდება ამაზე. დასავლეთ ბერლინში ნატოს ჯარები უნდა შეცვალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა.

ახალ კუბას ვერ დაამშვინებენ

1963 წელი უნდა იყოს მშვიდობის წელი

პრესის სააგენტოს „ახალი ამბების“ ყოველკვირეული საერთაშორისო მიმოხილვა

ახალი წლის წინ სანტიაგეში დაიწყო ამერიკაში. ქარბუქი დაატყდა შეერთებული შტატების აღმოსავლეთ რაიონებს. მენის შტატის ქალაქ ბანგორში საგანგებო წესები გამოაცხადეს: სახლების მეტი ნაწილი თოვლმა დაფარა. ნიუ-იორკში გრიგალმა სახურავები ააგლიჯა კინოთეატრსა და მაღაზიას...

ახალი წლის წინ სახლებს სახურავები მოიგლიჯა არა მარტო ამერიკაში, არამედ დედამიწის სხვა კუთხეში — დასავლეთ ბერლინშიც. მაგრამ ეს ამინდის კაპრიზების გამო როდი მოხდა. 27 დეკემბერს ღამით რევანშისტებმა დიდი ძალის აფეთქება მოაწყეს „ფრონტის ქალაქში“, რათა დაეზიანებინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის საზღვარზე აშენებული დამცავი ნაგებობანი. ფაშისტ არამზადათა საახალწლო პროვოკაციის შედეგად: დაზიანებულია რამდენიმე სახლი დასავლეთ ბერლინში, ჩაიმსხვრა 600-ზე მეტი ფანჯრის მინები.

ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია, როცა რევანშისტები, რომლებიც დასავლეთ ბერლინით სენატისა და დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ხელისუფლების მფარველობით სარგებლობენ, მძვინვარებენ დემოკრატიული ბერლინის კედლებთან. ამჯერად დასავლეთ-ბერლინელთა აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ ამერიკელი გენერალ-მაიორი უოტსონი სასწრაფოდ გაემგზავრა გაფოთრებულ ფაშისტებს და გახაცხადა, რომ თუმცა „ესმის ამ ადამიანთა მოტივები, მაგრამ ასეთ მოქმედებას არაფერი კარგი არ მოჰყვება“.

ათენი. საბჭოთა კავშირი მზად არის ხვალვე შეწყვიტოს ატომური გამოცდა. თუ დასავლეთი ამასვე იზამს, წერს გაზეთი „კატიმერინი“, რომელიც კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კითხვებზე. „ხრუშჩოვი აცხადებს, რომ ეკონომიური შეჯიბრება და არა ომი გადაჭრის საბოლოო ანგარიშით იმ დავას, თუ რომელი საზოგადოებრივი სისტემაა უკეთესი“, — წერს „ელეფთერია“. იგი იმას უჭერს მხარს, რომ აღმოიფხვრას ომი საერთაშორისო ცხოვრებიდან.

ტუნისი. ტუნისის პრესა აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შინაარსს ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტისადმი და, განსაკუთრებით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის იმ რწმენას, რომ 1963 წელი იქნება კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წელი. გაზეთი „აქსიონი“ სათაურში ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: „ხალხებმა უნდა დაძაბონ მთელი ძალღონე, რათა ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ რეალობა გახდეს“.

პამანა, 2 იანვარი. გაზეთმა „რევოლუსიონმა“ მთელი გვერდის სიგანეზე გადაჭიმული სათაურით „საყოველთაო და სრული განიარაღება მშვიდობის ერთადერთი გარანტიაა“ — გამოაქვეყნა სრული ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხისა გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კითხვებზე. გაზეთმა მოათავსა ნ. ს. ხრუშჩოვის ფოტოსურათი.

პასუხის სრული ტექსტი გამოაქვეყნა ავრეთვე გაზეთმა „მუნდომ“. „ხრუშჩოვმა განაცხადა: საჭიროა საყოველთაო განიარაღება“, — აღნიშნავს გაზეთი სათაურში. (საკდესი).

„რევოლუსიონი“ წერს: სსრ კავშირი სავსებით უჭერს მხარს კუბელ ხალხს

ჰავანა, 2 იანვარი. (საკდესი). ჰავანის ყველა გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილს აქცევენს მისასალმებელ წერილს, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა გაუგზავნეს ფიდელ კასტროს და ოსვალდო დორტიკოსს კუბის რევოლუციის გამარჯვების მეოთხე წლისთავის გამო.

გაზეთ „მუნდოს“ სათაურად გამოაქვს წერილის სიტყვები, სადაც ნათქვამია, რომ „კუბელ ხალხს ყოველთვის შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მეგობრულ მხარდაჭერასა და დახმარებას გაუწევს საბჭოთა ხალხი“.

„ხრუშჩოვი და ბრეჟნევი კვლავ აღუთქვამენ თავიანთ კუბელ ძმებს, რომ საბჭოთა ხალხი ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევს მათ“. — წერს გაზეთი „ნოტისიას დე ო“.

„სსრ კავშირი სავსებით უჭერს მხარს კუბელ ხალხს“, — აღნიშნავს გაზეთი „რევოლუსიონი“.

გაზეთები აქვეყნებენ მისალოც დეპეშებს, რომლებსაც უგზავნიან: სრულიად საკავშირო პროფსაბჭო კუბის პროფკავშირებს, სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტი — ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს, საბჭოთა კოსმონავტები და საბჭოთა კავშირის სხვა პირები და ორგანიზაციები — კუბელ ხალხს.

უ ჩვეულო ქორწილი გაიმართა ამას წინათ კუბის რესპუბლიკაში. ახალგაზრდებმა — რევოლუციური შეიარაღებული ძალების მეომარმა ჰილბერტო ლეონმა და სახალხო თავდაცვის მებრძოლმა ტერეზა გონსალესმა გადაწყვიტეს შეუღლებულიყვნენ. სამხედრო ტრადიციისამებრ თანამოიარაღე ამხანაგებმა ახალდაქორწინებულნი შაშხანების თაღქვეშ გაატარეს.

ფოტო პრენსა ლატინა — საკდესისა.

ზეიმი კუბაში

ჰავანა, 2 იანვარი. (საკდესი). დღეს თავისუფლების კუნძულმა ზეიმით აღნიშნა კუბის რევოლუციის მეოთხე წლისთავი.

ჰავანაში ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და გრანდიოზული სახალხო მანიფესტაცია.

დღესასწაულს ესწრებოდნენ — საბჭოთა კოსმონავტი პავლე პოპოვიჩი, საბჭოთა დელეგაციის მეთაური პ. ნ. ფედოსეევი, საბჭოთა სამხედრო დელეგაციის მეთაური საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ი. კრილოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბაში ა. ი. ალექსეევი და სხვ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

კატანგის ამბები

ლეოპოლდვილი, 3 იანვარი. (საკდესი). კატანგიდან იუწყებიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა დაძლიეს კატანგის ჟანდარმერიის გაფოთრებული წინააღმდეგობა და დღეს დაიწყეს გენერალური შეტევა ყადოვილზე, რომელიც ჩომბემ ძლიერ გამაგრებულ ცენტრად გადაქცია.

იქიდან მიღებული ცნობებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ინდოელთა და ეთიოპელთა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ლუფირა და დასავლეთ ნაპირზე შექმნილი ხიდწინა სამაგრიდან დაიწყეს მეტეევითი ოპერაციები ყადოვილის მიმართულებით.

ამავე დროს, როგორც კორესპონდენტებს განუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შვედთა მოტორიზებულმა რაზმმა, რომელიც გუშინ გავიდა კამინიდან ჯაბონგოს მიმართულებით, დღეს ღილით დაიკავა კილუბის ელექტროსადგური.

ჩომბე ყადოვილში

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩომბე, როგორც ჩანს, ახლა ყადოვილში იმყოფება, სადაც თავმოყრილია მისი ჟანდარმერიის დიდი ძალები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ინდოელ ოფიცერთა გამოანგარიშებით, ყადოვილში იმყოფება დაახლოებით 3 ათასი კატანგელი ჟანდარმი და დაახლოებით ასი თეთრკანიანი დაქირავებული.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ წარსულ ღამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს ორი თეთრკანიანი დაქირავებული ჩომბეს არმიიდან.

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს რა კატანგიდან მიღებულ ცნობებს, სოლსბერიდან იუწყება, რომ ჩომბე დღეს ღილით კვლავ იმუქრებოდა, რომ გამოიყენებს „ტოტალური ნგრევის“ ტაქტიკას, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები არ შეწყვეტენ შეტევას.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□**კუბის** რევოლუციის მე-4 წლისთავის გამო დემოკრატიულ ბერლინში გაიხსნა გამოფენა „თავისუფალი კუბა“. გამოფენაზე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ს�ციალისტური ქვეყნების რეპროდუქციები ფოტოსურათები, აგრეთვე დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა სახელოვანი გზა განვლო კუბის რესპუბლიკამ.

□**ბანის** თანამრომამ გამოაცხადა ნაციონალიზაცია ინგლისური ფირმისა, რომლის ხელშიც არის სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი. ფირმა დაახლოებით 80 წელიწადს მოქმედებდა განაში.

□**ალჟირის** თანამრომამ 1 იანვარს ფართოდ აღნიშნა დამოუკიდებლობის გამოცხადების მესამე წლისთავი. კაბერუნის დედაქალაქ იაუნდეში გაიმართა სამხედრო პარადი და დედაქალაქის მოსახლეობის დემონსტრაცია.

სსრ კავშირის ელჩმა ტანგანიკის რესპუბლიკაში ა. მ. ტიმოშენკომ საბჭოთა მთავრობის სახელით სამახსოვრო საჩუქრები მიართვა ტანგანიკის პრეზიდენტს ჯულიუს ნიერერეს ამასთან დაკავშირებით, რომ ტანგანიკა ამას წინათ რესპუბლიკად გამოცხადდა. საჩუქრებს შორის არის ფაფფურის ვაზა, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა კოსმონავტის გ. ს. ტიტოვის პორტრეტი და კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი“, დასურათებული წიგნი საბჭოთა კავშირის შესახებ.

□**ამერიკის** გზებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა, რომ 1962 წლის 11 თვის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში საავტომობილო კატასტროფების დროს დაიღუპა 37.140 კაცი.

□**ბრიგადამ** „ანიმ“, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს თავს დაატყდა ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატის — კვინსლენდის სანაპიროს, გამოიწვია სამასი ათასი გირვანქა ზარალი. არის ადამიანთა მსხვერპლი.

□**ბასული** წელი ხანძრების რაოდენობით რეკორდული იყო ტოკიოს ზოული ისტორიის მანძილზე. მეხანძრეებს 9.081-ჯერ მოუხდათ ცეცხლთან შებრძოლება. ცეცხლისაგან დაიღუპა 37 კაცი, 1.622 კაცმა მძიმე დამწვრობა მიიღო. ახალი წლის პირველ დღეს ქალაქში 29 ხანძარი გაჩნდა. (საკდესი).

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, პარასკევი, 4 იანვარი, 1963 წ.

ამერიკის ჩარევა

ვაშინგტონი, 3 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი მ. სალამელიანი იუწყება: სამხრეთ ვიეტნამში კვლავ იღვრება სისხლი. გუშინ ღილით ამერიკის საინფორმაციო საგენტოები საიგონიდან იუწყებოდნენ, რომ მეკონგის დელტაში ახალი დიდი ბრძოლა მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატების შეიარაღებული ძალების მონაწილეობით. ბრძოლის დროს ჩამოგდეს ამერიკის ხუთი ვერტმფრინავი.

ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის დედაქალაქში დაბეჯითებით ამბობენ, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ მალე მკვეთრად გააქტიურონ სამბრეი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ. 1963 წელს „სამეარი მოქმედების გეფართოებასა“ და „სამხრეთ ვიეტნამში წარმოებულ ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის“ გაძლიერებაზე წერს დღეს „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“.

ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ფაქტიურად აწარმოებენ ნამდვილ ომს სამხრეთ ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ. ამქამად, იუწყება „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“, სამხრეთ ვიეტნამში არის 12 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სულ, წერს „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“, მიმდინარე წლის დამლევისათვის ამერიკის შეერთებული შტატები თითქმის 3 მილიარდ დოლარს დახარჯავენ სამხრეთ ვიეტნამისათვის სამხედრო და ეკონომიური დახმარების გასაწევად.

მაგრამ „საქმეს კარგად გაცნობილ ამერიკელ და ვეტნამელ მეთვალყურეთა“ აზრით, როგორც დღეს საიგონიდან იუწყება ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი“, ბრძოლა კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდება, ამასთან ბრძოლის საბოლოო შედეგი კვლავ გაურკვეველია“.

პარტიზანთა გამარჯვება

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ამერიკის დეპეშათა საგენტოები იუწყებიან, დიმელმა დამსჯელებმა ამერიკის 85 სამხედრო თვითმფრინავისა და ვერტმფრინავის დახმარებით დიდი ოპერაცია დაიწყეს სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანთა წინააღმდეგ მდინარე მეკონგის დელტაში. დამსჯელებმა ბრძოლების რაიონში ჩამოუშვეს 1.200 პარაშუტისტი და ვერტმფრინავებით გადასხეს 500 ქვეითი ჯარისკაცი.

პარტიზანებმა საშუალება მისცეს ჯარისკაცებს გადმომსხდარიყვნენ და გრიგალისებრი ცეცხლი დაუშინეს ვერტმფრინავებს. როგორც ოპერაციის მონაწილე ამერიკელი ოფიცერი ამბობს, „თითქოს განეხვნა ჯოჯოხეთი“.

ერთ დღეში პარტიზანებმა ჩამოაგდეს ამერიკელთა ხუთი ვერტმფრინავი, მათ შორის ორი ვერტმფრინავი, შეიარაღებული რაკეტებითა და ტყვიამფრქვევებით. ამერიკის 9 სხვა ვერტმფრინავმა, რომლებიც პარტიზანთა ცეცხლმა დააზიანა, მაინც შეძლო თავიანთ ბაზაში დაბრუნება.

უშედეგო იყო ამერიკელთა ჯავშნოსნების ცდები — შეეღწიათ ბრძოლის რაიონში. პარტიზანები მძლავრ ცეცხლს უშენენ თვითმფრინავებს, რომლებსაც მცირე სიმაღლიდან მიაქვთ იერიში პარტიზანთა პოზიციებზე.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი წერს, რომ ორი ინგლისელი „ამერიკის ვერტმფრინავებზე პარტიზანთა უდიდესი გამარჯვების“ დღეა.

მრქელდეგა სამანმეგო წესები

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი დაკარიდან იუწყება, რომ სენეგალის ეროვნულმა კრებამ გუშინ ხმა მისცა საგანგებო წესების განგრძობას სენეგალში კრების შემდეგი მორიგი სესიის დამთავრებამდე, ესე იგი 1963 წლის 1 ივლისამდე.

საგანგებო წესები სენეგალში შემოიღეს ორი კვირის წინათ, როცა პრეზიდენტმა სენგორმა გადაადგა ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მამადუ დია და შექმნა თავისი მეთაურობით საპრეზიდენტო კაბინეტი.

ჩინეთის საკონსულოთა პერსონალის ევაკუაცია

პეკინი, 3 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ჩინეთის გენერალურ საკონსულოთა პერსონალი, რომელიც კალკუტასა და ბომბეიში იმყოფებოდა, მთლიანად ევაკუირებულია ინდოეთიდან.

მაკმილანი: განათლება — ორიანი, ჯარმთელობა — ორიანი, ბინათმშენებლობა — ორიანი, ეკონომიკა ორიანი...

ნახატი ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერიდან“.

არასახარბიელო შედეგი

გუნეგის საოცრებანი

ჩინური მარგალიტი

მარგალიტი ბუნების ერთერთი ყველაზე გასაოცარი ქმნილებაა. მას ბევრნი განსაკუთრებული მოლუსკები, რომლებიც მაგარ ნიჟარებში ცხოვრობენ ზღვის სიღრმეში. მაგრამ მარგალიტის ყოველ ნიჟარაში როდი შეიძლება იპოვნოთ ძვირფასი თვალი. მარგალიტის ჩასახვა დაკავშირებულია იმასთან, რომ მოლუსკის სხეულში შეაღწევს რაიმე უცხო ნაწილაკი, მაგალითად, ქვიშის მარცვალი, რომელსაც თანდათან გარს შემოეკვრის ზღვის ამ თავისებური ბინადრის მიერ გამოყოფილი განსაკუთრებული კიროვანი ნივთიერება.

მარგალიტი განქიმულია არა მარტო თავისი არაჩვეულებრივი სილამაზით (ტყუილად კი არ უძღვნეს მას ამდენი ლექსი ძველი დროის პოეტებმა), არამედ იმითაც, რომ ძალიან იშვიათად გვხვდება. გამორკვეულია, რომ ბუნებრივ პირობებში 4 ათასი ნიჟარიდან მხოლოდ ერთში პოულობენ მარგალიტს. მაგრამ ყველაზე გამოცდილი მყვინთავებიც კი, ინდოეთის ოკეანისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულებზე მცხოვრები ცნობილი „ადამიანი — თევზები“, 25-30 მეტრ სიღრმეზე რომ დაყვინთავენ, ერთჯერად 15-20-ზე მეტ ნიჟარას ვერ აგროვებენ. მარგალიტის მაძიებლობა რომანტიკული შარავანდედით არის მოსილი და დაკავშირებულია დიდ რისკთან. ძვირფასი თვლების მომპოვებელნი მაღე ყრუდდებიან — ყურის დაფის აპკი სიღრმის წნევას ვერ უძლებს. მათ ზვიგენები უდარჯებენ, და ხშირია შემთხვევა, რომ ზღვის მტაცებლებთან შეხვედრა ადამიანისათვის ტრაგიკულად მთავრდება.

სამხრეთ ჩინეთის პროვინცია გუანდუნის ხეპუს მაზრის მცხოვრებნი უკვე ორი ათას წელზე მეტი ხანია ეწევიან მარგალიტის მოპოვებას. სამხრეთ ჩინეთის ზღვის წყალი აქ საოცრად გამჭვირვალეა. წყნარ ამინდში ნავიდან 15 მეტრის სიღრმეზე მკაფიოდ ჩანს ფსკერი: ხოლო ზღვის ფსკერი ამ რაიონში ფერთა გასაოცარი სამყაროა. იგი დაფარულია სულ სხვადასხვა ფორმისა და ფერის მარჯნებით. ქვიშაზე ყვითელ, სისხლივით წითელ, ისისფერ და ლურჯ მარჯანთა შორის ცხოვრობენ ძვირფასი ნიჟარები. წინათ ჩინელი მყვინთავები უძნელეს პირობებში ეწეოდნენ ზღვის საუნჯეთა მოპოვებას. ჯონკა (ჩინური ნავი), მსხვილი თოკი, რომელსაც შემოორტყამდა მყვინთავი, და დიდი ქვა, რომელიც ფსკერზე დაშვებაში ეხმარებოდა, — ეს იყო და ეს მთელი აღჭურვილობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა იაპონელმა მილიტარისტებმა, რომლებიც ჩინური მარგალიტის კონკურენციას ებრძოდნენ, ყველა ნავი დაწვეს, ქვეყისძველი რეწვა დაეცა. სიცოცხლე ჩაკვდა ბაილიუს ნავსადგურშიც, რომელიც ჩინეთში უხსოვარი დროიდან ცნობილია, როგორც „მარგალიტის ქალაქი“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ამ რაიონში მარგალიტის მოპოვება განახლდა. მოეწყო ძვირფასი ნიჟარების მარაგის გამოკვლევა, გაუჯობესდა მყვინთავთა მოწყობილობა და მათი შრომის პირობები. ბაილიუს ახლოს ზღვის ყურეში შეიქმნა მარგალიტის ხელოვნურად გამოყვანის საცდელი უბნები.

ბაილიუში ამჟამად შექმნილია დიდი ლაბორატორია. ქალთათასაოთიანი ქალიშვილები სტერილური ინსტრუმენტებით ხსნიან სამი წლის ნიჟარებს და პინცეტით ათავსებენ იქ ქვიშის მარცვალს. ამ ოპერაციის შემდეგ ნიჟარებს ბამბუკისგან მოწნული დიდი კალათებით ჩაუშვებენ ზღვის ფსკერზე მათი ცხოვრებისათვის ყველაზე ხელსაყრელ აკვატორიებში. სამი-ოთხი წლის შემდეგ კალათები ზღვის ზედაპირზე ამოაქვთ და... მარგალიტის მოსავალს იღებენ.

ხეპუს მაზრა ჩინეთში მარგალიტის გამოყვანის უდიდესი ცენტრია. ადგილობრივი მარგალიტის ნიჟარების 90 პროცენტზე მეტი იძლევა შესანიშნავი ფორმისა და ელფერის მარგალიტს, რომელიც შორს გაითქვა სახელი ჩინეთის ფარგლებს გარეთ. უახლესი მეცნიერული მეთოდებით მარგალიტის გამოყვანა დაიწყო გუანდუნის პროვინციის სხვა მაზრებშიც. ახალ ადგილებში ამ რეწვის მოწყობას დიდად უწყობენ ხელს ხეპუს მაზრის სპეციალისტები. ხეპუდან იქ მიაქვთ მარგალიტის ჯიშიანი ნიჟარებიც.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

შენიშვნები ერთ ახალ სპექტაკლზე

ადამიანის სულიერი მშვენიერება

ლ. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

ულამთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მიმდინარე სეზონში ჩვენი დედაქალაქის ორივე ქართული დრამატული თეატრის სცენაზე ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები იქნა წარმოდგენილი. რუსთაველის თეატრმა სეზონის პირველ პრემიერად გვიჩვენა **ოტია იოსელიანის** პიესა **„ადამიანი იბადება ერთხელ“**, ხოლო მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა — ინსცენირება **ნოდარ დუმბაძის** რომანისა **„მევახედავ მზეს“**.

ამ ნაწარმოებთა ერთდროულად გამოჩენა ჩვენი თეატრების რეპერტუარში იმის მომასწავებელია, რომ როგორც თანამედროვე ქართულ პოეზიისა და მხატვრულ პროზაში, ისე დრამატურგიაშიც შემოდის მხატვრული სიტყვის ოსტატთა ახალი თაობა, რომელსაც ძალა და უნარი შესწევს გზა გადაუოფელი ერთიანობით დროს ჩვენში მომძალებულ „დრამისმკეთებლობას“ და უკომპრომისოდ იბრძოლოს ჩვენი დრამატული მწერლობის ლიტერატურული ღირსებისა და ხარისხის ამაღლებისათვის. სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენთ, რომ ამ პროცესის ერთ-ერთ პირველ ნიშანს გასულ წელს რუსთაველის თეატრში დადგმული გიორგი ხუხაშვილის „ზღვის შვილები“ წარმოადგენდა.

რა ვუყოთ, რომ ახალგაზრდა ავტორთა ეს პირველი ნაბიჯები ლიტერატურული შემოქმედების ურთულეს ეტაპში დაზღვეული არ არის მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან, რა ვუყოთ, თუ მათი ეს პირველი დრამატული ნაწარმოებნი ჯერ კიდევ შორს არის პროფესიული სრულყოფილებისაგან. სამაგიეროდ მათში აშკარად მოჩანს უეჭველი მხატვრული ნიჭიერება, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, სამყაროს პოეტურად ხილვისა და წარმოსახვის უნარი. სწორედ ამ თვისებათა მეოხებით იმსახურებს მოწონებას და მხარდაჭერას ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“ პიესისა და სპექტაკლის ცალკეულ სისუსტეთა და ნაკლოვანებათა მიუხედავად.

ორიგინალური, ღრმად თავისებური დრამატურგიული ენით, დიდი ემოციური ძალით მოგვითხრობს პიესის ავტორი იშის შესახებ, თუ რაოდენ მძიმე უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ხალხს ფაშიზმის სისხლიანი ურდოების მოულოდნელმა და ვერაგულმა თავდასხმამ ჩვენს სამშობლოზე, თუ რაოდენ მსხვერპლის, სისხლისა და მწუხარების საფასურად უკუაქცია და გადახადგურა საბჭოთა ხალხმა ფაშისტური ურჩხული და უსაშინელესი საფრთხისაგან იხსნა არა მარტო ჩვენი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება, არამედ ამასთანავე მთელი საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია. დრამატურგი ცხოვლად ხატავს და მგზნებარედ უმღერის საბჭოთა ადამიანების სულიერ ძალასა და მშვენიერებას, რომელიც კი ვერ შებღალა, არამედ კიდევ უფრო გამოაწრთო და გააფაქიზა ომის მრისხანე განსაცდელმა.

პიესაში რიგითი საბჭოთა ადამიანები მოქმედებენ. ყოველი მათგანი ჩვენი ხალხის მაღალი ჰუმანურობის, სიკეთის, ზნეობრივი სისპეტაკის, დაუცხრომელი სიცოცხლისმოყვარეობის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს. ხალხის ხასიათის ამ საუკეთესო თვისებათა გამოსახვა შეადგენს პიესის ძირითად პათოსს, მისი მიზანდასახულობისა და ესთეტიკური იდეალის საფუძველს და, მიუხედავად იმისა, რომ პიესაში არც ერთი უარყოფითი პერსონაჟი არ არის გამოყვანილი, რომ პიესა მთლიანად დადებითი ადამიანებით არის დასახლებული, მასში ნასახიც კი არ იგრძნობა ე. წ. „უკონფლიქტობისა“, პირიქით, პიესის მთელი სიუჟეტური განვითარება გამსჭვალულია ღრმა დრამატიზმით, რომელიც ზოგჯერ უკიდურეს ტრაგედიულ სიმძაფრეს აღწევს.

სპექტაკლის პირველსავე სურათში ჩვენ ვეცნობით ცოცხლად და კოლორიტულად დახატულ ორ ადამიანურ ხასიათს, — ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებათა განმასახიერებელ ორ მხატვრულ სახეს — თათიას და სიოს. ქალ-ვაჟს წრფელად უყვართ ერთმანეთი. ისინი მგზნებარედ ოცნებობენ თავიანთ ნათელ მომავალზე, როცა, უმაღლესი განათლებით აღჭურვილები, დასახლდებიან სოფლად, აიგებენ ახალ თეთრ სახლს, რომელსაც წითელი კრამიტით გადახურავენ, შვილებს გამოზრდიან, კეთილშობილურად იზრდებენ და იცხოვრებენ.

ამ როლების შემსრულებლები — **ზ. კვერენჩხილაძე** (თათია) და **გურამ საღარაძე** (სიო) თავიანთი წრფელი, მომხიბვლელად უშუალო და თამამშეშდავი შესრულებით ერთბაშად ქმნიან ჯანსაღი ლირიზმით, პოეზიით, რომანტიკით აღსავსე სცენურ ატმოსფეროს. აქ ყველაფერი ახალგაზრდული ენთუზიაზმით, მაღალი ოცნებით, სიყვარულით, ბედნიერებით სუნთქავს. და ჩვენი ცხოვრების ამ დიად ნათელში ერთბაშად და მთლიანად შემოიკრება ომის სისხლიანი ქარიშხალი. ამ სპექტაკლისათვის **არჩილ ჩიმაკაძის** მიერ დაწერილი მუსიკის ლირიკული მელოდიები ერთბაშად იცვლება შემზარავი საგანგაშო კაკოფონიით, რასაც ერთვის სცენაზე წითელი და შავი ფერების საბედისწერო ათამაშება. მომდევნო სურათში სიმარტოვის სევდით შეპყრობილი თათია, კითხულობს ბრძოლის ველიდან მიღებულ სიოს ბარათს, კი არ კითხულობს არამედ თავის ფიქრებში, ოცნებაში ესაუბრება უსაყვარლეს მეგობარს, რომელთანაც ყოველწუთიერი განუყოფელი ერთიანობით ცოცხლობს და სულდგმულობს. ახალგაზრდა მსახიობი ქალი ამ სურათში გმირის სულიერი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომის ნიჭიერებას, მძაფრი ფსიქოლოგიური სურათის წარმოსახვის მოსაწონ ოსტატობას იჩენს. სიოს თხოვნის თანახმად ქალაქში მარტოდ დარჩენილი თათია სოფლად მიემგზავრება, რათა თავისი საქმროს მოხუც მშობლებთან ერთად ზიდოს ომის წლების პირქუში ცხოვრების ტვირთი.

სპექტაკლის შემდეგი სურათები სიოს მშობლიურ სოფელში — ოჯახში მიმდინარეობს. სიოს ორი უფროსი ძმა ომის პირველსავე დღეებში დაღუპულან ბრძოლის ველზე. ოჯახში უსაზღვრო მწუხარებაა დასადგურებული, გულის მომკვლელად გოდებს სიოს დედა — მართა, ბორგავს და მოუსვენრად ღელავს შვილების დაკარგვით თავზარდაცემული მინგო. აკი მისი მესამე ვაჟიც ბრძოლის ველზეა გასული. კარგა ხანია მისი ამბავიც აღარ სმენს. სოფლის ფოსტალიონი საეჭვოდ ემალება და გაურბის მინგოს. სამოცდახუთი წლის მოხუცი გლეხი მთელი არსებით შეუპყრია ოჯახის სრული გადაშენების საზარელ შიშს.

ჭკვიანი, კეთილშობილი, სულიერად და ფიზიკურად ჯერ კიდევ გაუტეხელი ჭორმაგი გლეხის ასეთ აფორიაქებულ სულიერ ვითარებას გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ძალით გადმოგვცემს **სერგო ზაქარიაძე** თავისი იშვიათი აქტიორული ნიჭიერებისა და მაღალი ოსტატობის მთელი დაძაბვით. გონებაგახსნილი და გამოცდილი გლეხის უცდომელი გუმანით გრძნობს მინგო, რომ მისი უმცროსი ვაჟიც ბრძოლაში დაღუპული უნდა ყოს. და თუმცა თვითონაც არ სურს შეურიგდეს ამ საშინელებას და მით უფრო არ უნდა გაუმხილოს თავისი ასეთი წინათგრძნობა მართას და თათიას.

ბასხიობა გულმოდგინებით დაუმუშავებია ამ მხატვრული სახით არა მარტო საერთო მონახაზი, არამედ გმირის ღრმად კოლორიტული ხასიათის, მისი მძაფრად დრამატიზირებული სულიერი ცხოვრების გადმომცემი ყოველი ნიუანსი, ყოველი დეტალი, გამოუნახავს მათთვის აქტიორული გამომსახველობის უაღრესად ეფექტურ საშუალებათა მდიდარი და მრავალფეროვანი ქსოვილი. რად ღირს მარტო ის ეპიზოდი, როდესაც მინგო დაინებულად და თითქმის ძალად გამოსტაცებს ფოსტალიონ სერაფინოს ხანთამი ღრმად ჩამალულ ცნობას სიოს გმირულად დაღუპვის შესახებ. ამ სურათში ს. ზაქარიაძე აღწევს განუზომელი უბედურებით შეშფოთებული ადამიანის განცდათა სცენურად გამოსახვის უღრმეს ოსტატობას.

უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდში ს. ზაქარიაძის ღირსეულ პარტნიორად გამოდის სერაფინის როლის შემსრულებელი — **გიორგი სალარაძე**. მან შეძლო თავისი გონებამახვილურად მოფიქრებული და უზადო ოსტატობით განხორციელებული მხატვრული ხერხებით გაეცოცხლებინა დრამატურგის მიერ ძუნწად დახატული სახე ამ პერსონაჟისა, მოენახა მისთვის ინდივიდუალური ხასიათი, ცხოვრებისეული სიმართლით შერჩეული საღებავები. იგი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სპექტაკლში, მაგრამ წარუშლელად აღიბეჭდება მაყურებლის მეხსიერებაში. ეს მსახიობის დიდ მხატვრულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

სიოს დაღუპვის ცნობამ კიდევ უფრო გაამწვავა მინგოს სულიერი ვითარება, კიდევ უფრო სულისშემხუთველი მწუხარების წყვდიადში გაახვია მისი ოჯახი. მართალია, ფრონტიდან დაბრუნებული მეზობელი გოგი ურჩევს მინგოს იმედი არ დაკარგოს, რადგან ისეც ხდება ხოლმე, რომ დაღუპულად მიჩნეული მებრძოლი ცოცხალი, გადარჩენილი აღმოჩნდება, მაგრამ ეს ნუგეში ვერ ამშვიდებს მინგოს.

მიიგოს ოჯახის თავზე დატრიალებული ამ დიდი უბედურების წარმოსახვისას დრამატურგმაც და თეატრმაც მთელ რიგ შემთხვევებში ღრმა გამომსახველობით ძალას, დიდ მხატვრულ წარმატებს მიაღწიეს, მაგრამ პიესის სერიოზული ნაკლოვანება ამ შემთხვევაში ის არის, რომ მასში მინგოს ოჯახის ცხოვრება წარმოდგენილია სოფლის, მთელი ჩვენი ქვეყნის დიადი საბრძოლო ცხოვრებისაგან გამოთიშულად და მოწყვეტილად. ამ პიესის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სოფლის ადამიანები მხოლოდ ფრონტზე დაღუპულთა გამოტირებით, გლოვით, მწუხარებით და ურთიერთ ნუგეშისცემით იყვნენ გართული. ნამდვილად კი ომის დროინდელი საბჭოთა სოფლის ცხოვრება ბევრად უფრო რთული და შინაარსიანი იყო. ჩვენი სოფელი იმ წლებში გმირული შრომისა და საბრძოლო შემართების სულისკვეთებით ცხოვრობდა და რაც უფრო დიდი იყო მსხვერპლი, რაც უფრო მწვავე იყო დანაკლისი, მით უფრო მეტი თავგანწირულობითა და ქედუხრელობით იბრძოდა ხალხი იმისათვის, რომ მხარში ამოსდგომოდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და ძალთან ერთად გამოეკვეთა საძულველ მტერზე გამარჯვება. მართალია, პიესაში გაისმის ორიოდე ფრაზა, რომ მიეღო სოფელი მინდვრად არის გასული სამუშაოდ, მაგრამ მიწაგოს ოჯახი რატომღაც გამოთიშულია სოფლის ასეთი მეზნებარე შრომითი ცხოვრებისაგან. პიესის გმირები მხოლოდ თავისი პირადი უბედურებით არიან შთანთქმული, თითქოს მათ არაფერი აკავშირებდეთ ქვეყნის საერთო სასიცოცხლო ინტერესებთან. განა დასაჯერებელია, რომ სოფლად ჩასული ახალგაზრდა ქალი — თათია, განათლებული და კეთილშობილი საბჭოთა ქალიშვილი ომის წლების მთელ მანძილზე ასე სასომიხდილი და გულხელდაკრეფილი იჯდებოდა შინ და სოფლის საბრძოლო შრომითს ცხოვრებაში არაფითარ მონაწილეობას არ მიიღებდა?

რაკი დრამატურგმა ასე ხელოვნურად ჩაამწყვდია თავისი გმირები ოჯახური უბედურების სულისშემხუთველ ატმოსფეროში, ცხადია, ამ ოჯახის ცხოვრებაში ვერც იმ სიხარულმა შეაღწია, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი ხალხი ვერაგ მტერზე დიადი გამარჯვების გამო და რამაც დიდად შეუმსუბუქა ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული მძიმე წყლულები და ჭრილობები. განა დასაჯერებელია, რომ შინაგანად მართას, თათიას არაფითარი ამაყოფილება არ ეგრძნოთ იმის გამო, რომ განადგურდა მათი დამლეველი სისხლიანი მტრის ურდოები, რომ გაიმარჯვა იმ წმიდა და სამართლიანმა საქმემ, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა მილიონობით საბჭოთა ადამიანი და მათ შორის ამ ოჯახიდან წასული სამი ვაჟკაცი?!

პიესაში ცხოვრებისეული სიმართლიდან ერთი გადახვევაა შემდეგ თავისთავად ბადებს მომდევნო ხელოვნურ, ნაძალადევ სიტუაციებს, რომლებიც მოკლებული არიან მხატვრული სიმართლისა და, მაშასადამე, დამაჯერებლობის ძალას. ასეთ ფსიქოლოგიურად დაუსაბუთებელ სიტუაციად გამოიყურება პიესაში მინგოს მიერ თათიას თითქმის ნაძალადევად გათხოვების ისტორია, რომელიც ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ძირითად სიუჟეტურ მოტივს წარმოადგენს. ოჯახის სრული გადაშენების შიშით თავზარდაცემული მინგო ერთ-ერთ გამოსავალს იმაშია ხედავს, რომ გათხოვოს საკუთარი შვილიცით საყვარელი სარძლო თათია, ამით ახალგაზრდა ქალიც იხსნას მუდმივი მარტოობის საშინელებისაგან და თავის დაცარიელებულ კარმიდამოსაც მომავლის იმედი გაუჩინოს.

თათიას საქმროდ მინგოს შეურჩევია ფრონტიდან დაბრუნებული გოგი — ახალგაზრდა ექიმი, მან დიდი ამაგი დასდო მინგოს ოჯახს — სიკვდილს გამოსტაცა ჯერ მართა და შემდეგ თათია. მინგოს ასეთი განზრახვის გაგებამ თავზარდამცემად იმოქმედა თათიაზე. მას კვლავ უზომოდ უყვარს თავისი სიო და სჯერა კიდევაც, რომ იგი ცოცხალი დაბრუნდება. მაშ როგორღა შეუძლია მას, რომ სხვას მისთხოვდეს? „ნუ, მამა. ნუ მიზამ ამას... ჩემს თავს გაფიცებ, სიოს, სიოს გაფიცებ... ნუ, ნუ, მამა, ნუ მიზამ“... ეკვდება იგი მინგოს. მაგრამ მოხუცმა მაინც თავისი გაიტანა.

აი სცენაზე თათიასა და გოგის ქორწილია გაჩაღებული. აშკარად იგრძნობა, რომ ეს ნაძალადევი ქორწილი არავის ახარებს. შინაურებიც და სტუმრებიც — ყველანი დაღვრემილი და შეწუხებული არიან. მარტო მინგო ცეკვავს. იგი აძალებს სტუმრებს ღვინოს, სიმღერას. მაგრამ, ცხადია, რომ ისიც ძალად მხიარულობს. მან იცის, რომ გულს უნდა აჯობოს. „აბა რაი, კაცო, ასეთია ცხოვრება... უნდა აჯობო, უნდა აჯობო“, გაიძახის იგი და ებრძვის გულს, მაგრამ მაყურებელი ხედავს, რომ მინგოსაც ძალიანე აღარ ყოფნის გულთან ბრძოლაში.

დამთავრებისთანავე მინგო სასწრაფოდ, „სულმოთქმულად“ თბილისში გაისტუმრებს ახლად დაქორწინებულთ და როგორც კი მარტო დარჩება, თავის ბოძმას დანებდება: ომში დაღუპული შვილების სურათების წინაშე დაემხობა და მწარედ აქვითინდება. ამით მთავრდება სპექტაკლი.

მთელი სპექტაკლის მანძილზე და ამ ფინალურ სურათში ს. ზაქარიაძე თავისი მაღალი ოსტატობისა და მხატვრული ენერგიის მთელი მარაგით იბრძვის მაყურებლის გულის დასაპყრობად და ხშირად აღწევს კიდეც ამას. მაგრამ მაყურებელს მაინც არა სჯერა მთელი ეს სიტუაცია. რატომ გათხოვდებოდა თათია, რომელიც დაეინებით მოელოდა სიოს დაბრუნებას და რომელსაც ერთხელაც გულში არ გაუვლია გოგასადმი სიყვარული?! ან რატომ შეირთავდა თათიას გოგი, რომელსაც აგრეთვე არაფრით ეტყობა, რომ წრფელი და ნამდვილი სიყვარული ამოქმედებდეს?! ნუთუ მინაგოს ახირებული განზრახვა საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ქეთილშობილ, განათლებულ ქალ-ვაჟს თავისი გულისა და სურვილის საწინააღმდეგოდ გადაეწყვიტა ესოდენ მნიშვნელოვანი სასიცოცხლო საკითხი? ამ საკითხს კანონზომიერ კითხვებზე პიესა პასუხს ვერ იძლევა. ეს გარემოება კი დიდად აწელებს პიესისა და სპექტაკლის დამაჯერებლობისა და, მაშასადამე, ემოციური ზემოქმედების ძალას, ამცირებს მათს იდეურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას.

მინაგო-ზაქარიაძის შემზარავი ქვითინით მთავრდება რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი, მაგრამ სრულიად სხვაგვარია ო. იოსელიანის პიესის დამოლება. პიესის მიხედვით სიო ცოცხალი ბრუნდება შინ. იქმნება უკიდურესად დაძაბული ვითარება, რაც იმით მთავრდება, რომ თათია ვერ უძლებს მძიმე სულიერ მღელვარებას და უეცრად კვდება. პიესის დასასრულს ასეთი რედაქცია მიიღო თეატრმა და ამგვარად წარმოადგინა იგი თავის პრემიერაზე. შემდეგ კი ფინალი ერთბაშად მოიხსნა.

რასაკვირველია, თეატრს უფლება აქვს ავტორთან შეთანხმებით შეცვალოს პიესის ცალკეული ეპიზოდები. მაგრამ არ შეიძლება პიესაში ასეთი არსებითი ცვლილების შეტანა. ასე მექანიკურად, ასე იოლად ფინალის ასეთი შეცვლა მოითხოვდა პიესის მთელი განვითარების სათანადოდ გადასინჯვასაც. უამისოდ კი ამგვარ მექანიკურ „ოპერაციას“, ცხადია, არ შეეძლო არ დაერღვია მხატვრული ნაწარმოების ორგანული მთლიანობა.

სპექტაკლის უპირველეს ღირსებას მთავარი როლების შემსრულებელთა საუცხოო აქტიორული ოსტატობა წარმოადგენს. ამ მხრივ, გარდა ზემოთ მოხსენებული მსახიობებისა, აღსანიშნავია **კ. საკანდელიძე**, რომელმაც სცენაზე ერთი გამოსვლით დახატა ფრონტელის უაღრესად კოლორიტული, ღრმად დასამახსოვრებელი სახე. სამწუხაროდ, სპექტაკლის დანარჩენი როლები სუსტად და დამუშავებული და მკრთალად შესრულებული. გახსაკუთრებით სამწუხაროა, რომ გოგი სანიკიძის სახე, რომელსაც ავტორის შთანაფიქრით ნაწარმოებში სერიოზული აზრობრივ-მხატვრული ამოცანები აქვს დაკისრებული, სქემატურად და უსიცოცხლოდ გამოიყურება პიესაშიც და სპექტაკლშიც (მსახიობი **ე. გოგავა**). ისიც უნდა ითქვას, რომ ს. ზაქარიაძე, რომელიც ზოგჯერ გადაჭარბებულად სარგებლობს თავისი დიდი მხატვრული შესაძლებლობებით, ერთგვარად ზღუდავს სპექტაკლის სხვა მონაწილეთა ხვედრით წონას, რითაც საგრძნობლად არღვევს სცენიურ სახეთა თანაფარდობას.

სპექტაკლის დამდგმელის — **დ. ალექსიძის** გულმოდგინე და საინტერესო რეჟისორულ ნამუშევარშიც იგრძნობა მნიშვნელოვანი ხარვეზები. დადგმაში მიღწეული ვერ არის მიზანსცენათა სასურველი მრავალფეროვნება, ამასთანავე მიღწეული ვერ არის ორგანული ერთიანობა სპექტაკლის რეალურ-ყოფით ეპიზოდებსა და იმ სურათებს შორის, რომლებშიც თათიას მოჩვენებანი თუ ოცნებაა წარმოსახული. სტილებრივი მთლიანობა აკლია აგრეთვე სპექტაკლს საერთოდ ნიჭიერად შესრულებულ მხატვრობასაც, რომელიც **დ. თავაძეს** ეკუთვნის. წარმოდგენის დეკორაციულ გაფორმებაში ერთმანეთს ებრძვის უაღრესად ყოფითი და უადრესად პირობითი მხატვრობის ტენდენციები.

ამრიგად, პიესაშიც და სპექტაკლშიც ბევრი რამ არის ისეთი, რაც ხელს უშლის ამ ნაწარმოების მხატვრულ სრულფასოვნებას და ზღუდავს მის წარმატებას. და თუ მაინც მაყურებელი მღელვარებით განიცდის სცენიურ მოქმედებას და მადლიერების გრძნობით გამოდის თეატრიდან, ეს იმიტომ, რომ პიესა ნიჭიერი მწერლის კალმით არის დაწერილი. დრამატურგი ფლობს პოეტურობით გამსჭვალული სცენიური დიალოგის ოსტატობას, მძაფრი სიუჟეტური სიტუაციებისა ხელოვნებას. თეატრი კი, განსაკუთრებით მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები ღრმა და ჭეშმარიტად ესთეტიკური კმაყოფილებას ჰგვრიან მაყურებელს, ისეთ კმაყოფილებას, რომლის ხასიათიც უკიდურესად მომთხოვნი ადამიანიც ბევრ რამეს აპატიებს ხელოვანს. მთავარი კი ის არის, რომ პიესაში და სპექტაკლში გულწრფელად და შთაგონებულად არის წარმოსახული ჩვენი ადამიანების სულიერი ძალა და მშვენიერება, მათი ნათელი მორალური სახე.

ახალგაზრდა დრამატურგი არ უნდა შეუშინდეს თავისი პირველი პიესის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. იგი მეტი შემართებით და შთაგონებით უნდა შეეჭიდოს და დაეუფლოს დრამატული მწერლობის ურთულეს ხელოვნებას. ხოლო თეატრმა არა მარტო აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების მისწრაფებას სცენიური ხელოვნებისაკენ, არამედ მეტი გატაცებით და შემქმედებითი გულმოდგინეობით იმუშაოს მათი პიესების, ღირსეული განხორციელებისათვის სცენაზე.

გ ე ს ა რ ი ო ნ ჟ ღ ე ნ ტ ი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ადამიანი იბადება ერთხელ“, მინაგო — ს. ზაქარიაძე, თათია — ზ. კვერენჩხილაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეცნიერება და ტექნიკა

კომბოსტოს ეიჯვიზეა — ... ARE EMINIA

ბოლოდროინდელ ... ბევრი სპეციალისტი და მინდვრის მშრომელი იცნობს მემცენარეობის საცდელ სადგურს ტორუნის რაიონში. მისმა თანამშრომლებმა ამას წინათ დიდ წარმატებას მიაღწიეს: გამოყვანილია ახალი ჯიშის საკვები კომბოსტო, რომელიც არა მარტო ყინვაგამძლეა, არამედ ნულს დაბლა ტემპერატურაზე ზრდა და განვითარებაც შეუძლია. ცდებმა ცხადყო, რომ დაბალი ტემპერატურის ზღვარი მინუს 10 გრადუსს აღწევს. ამრიგად, საკვები კომბოსტოს მოყვანა ახლა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე გრძელდება, ზოგიერთ ოლქში კი — მთელ წელიწადსაც.

ახალი საკვები კომბოსტო ძალიან ძვირფასია თავისი ... თვისებებითაც, ... შეიცავს მაღალი ... ნივთიერებებს, მათ შორის ... ცილა, ... და ... ბოლოდროინდელ ... სოციალისტებმა გამოარკვიეს, რომ კომბოსტო კარგ გავლენას ახდენს ძვრხის წველადობისა და ძრძის ცხიმიანობის გადიდებაზე. ფრინველი, რომლის საკვებშიც ამ კომბოსტოს გაურევენ, კარგად მატულობს წონაში. კომბოსტო აგრეთვე ბევრი გავრცელებული ავადმყოფობისაგან იცავს შინაურ ფრინველს.

იმათთვის, ვისაც ცუდად ესმის

ლენინგრადის ვერა კომისარჟევსკაიას სახელობის დრამატული თეატრის მაყურებელთა დარბაზში გარეგნულად არაფერი შეცვლილა.

სცენის რამპის ქვეშ დადგმულ სამ მიკროფონს ერთბაშად ვერც კი შეამჩნევთ. მაგრამ ამის საშუალებით თეატრი ხელმისაწვდომი გახდა ისეთი მაყურებლისათვის, რომელსაც დაკარგული აქვს სმენის სიმახვილე და იძულებულია იმსაროს სასმენი აპარატი. ჩვეულებრივ თეატრალურ დარბაზებში სასმენი აპარატები სუსტად იღებენ მსახიობთა ხმას — ამას ხელს უშლის გარე ხმაური.

კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრის დარბაზი აღჭურვილია სპეციალური აპარატურით, რომელიც შეიმუშავეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრებმა. ასეთ დარბაზში სადაც უნდა იჯდეს მაყურებელი, მისი სასმენი აპარატი მკვეთრად აღიქვამს ყველაფერს, რასაც წარმოთქვამენ სცენაზე, მიუხედავად იმისა, ხმამაღლა ლაპარაკობენ მსახიობები თუ პირიქით. ავტომატური მოწყობილობა ასწორებს ხმას.

აპარატურის ასეთი კომპლექტი შემუშავებულია კინოთეატრებისთვისაც. ლენინგრადში იგი უკვე დგას კინოთეატრ „გიგანტში“.

ჰერბიციდი ნარჩენებისაგან

დონბასში, ქადნოვის კოქსქიმიურ ქარხანაში შენდება კოქსქიმიური ნარჩენებისაგან სიმაზინის ჰერბიციდის წარმოების საამქრო. იგი პირველია საბჭოთა კავშირში. საამქროს პროექტი დონბასელმა ინჟინრებმა დაამუშავეს.

სიმაზინის ჯადოსნურ თვისებებს კარგად იცნობენ მესიმინდეები. ჰერბიციდით დამუშავებულ პლანტაციებში არ იზრდება სარეველა. უკანასკნელ დრომდე ჰერბიციდს დეფიციტური ლილის მეკავშირეებისგან იღებდნენ, რაც ძალზე ძვირი ჯღებოდა. ამავე დროს სიმინდის ნათესებს მილიონობით ჰექტარი უჭირავთ და, რა თქმა უნდა ჰერბიციდი არ ყოფნით.

საბჭოთა მეცნიერებმა დაამუშავეს კოქსქიმიური ნარჩენებისაგან ძვირფასი ჰერბიციდის მიღების მეთოდიკა. ყდანოვის ქარხნის ერთი ტონა სიმაზინი თითქმის თერთმეტჯერ იაფი დაჯდება, ვიდრე ახლა. იგი სრულიად უვნებელი იქნება ადამიანებისა და შინაური ცხოველებისათვის. ასეთი ერთი-ორი კილოგრამი პრეპარატი სიმინდის ნათესის ერთ ჰექტარზე მოსპობს ყველა ერთწლიან სარეველას, ხოლო თუ ადრეულ გაზაფხულზე ერთ ჰექტარზე შევიტანთ 6-8 კილოგრამ სიმაზინს, მაშინ მოისპობა მრავალწლიანი სარეველებიც.



დიდი სპორტული სეზონი

ახალი წლის დადგომასთან ერთად ძალაში შედის ახალი სპორტული სეზონი. ეს არის გრანდიოზული ასპარეზობათა, ანუ სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის დიდი სეზონი.

თუ რამდენად მასობრივი იქნება ეს შეჯიბრება, ამაზე მეტყველებს მონაწილეთა რაოდენობა — 60 მილიონამდე სპორტსმენი. ფინალს, რომელიც მოსკოვში გაიმართება, წინ უძღვის წინასწარი შეხვედრები — სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური სპარტაკიადები, მოსწავლეთა საკავშირო და პროფკავშირთა სპარტაკიადები.

ცხადია, ოქრის მედლების დიდი უმრავლესობა სსრ კავშირის მესამე სპარტაკიადაზე გათამაშდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარტო ამ უდიდესი ასპარეზობით განისაზღვრება წლის კალენდარი. მაგალითად, ზაფხულში მოსკოვში კვლავ გახდებიან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ტრადიციული ასპარეზობის მოწმენი.

წლის დასაწყისშივე იწყება მრავალი საერთაშორისო საინტერესო ასპარეზობა. ამ დღეებში ლენინგრადში გაიხსნება 12 ქვეყნის მოთხილამურეთა შეჯიბრება. მოსკოვში შედგება ევროპის პირველობის გათამაშება ჭიგში, გათამაშდება „მოსკოვის პრიზი“ ძალოსნობაში და სხვ.

საბჭოთა შეხვედრები საზღვარგარეთ

სსრ კავშირის „ა“ კლასის ფეხბურთელთა ორი კოლექტივი — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი და ტაშკენტის „პახტაკორი“ ახალ წელს საზღვარგარეთ შეხვდნენ.

დონის როსტოველი ფეხბურთელები ბამაკოში (მალი) შეხვდნენ მალის რესპუბლიკის ეროვნულ ნაკრებს. მატჩი, რომელიც 40 გრადუს სიცხეში მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ, ანგარიშით 3:1.

თავის უკანასკნელი მატჩი ტაშკენტის „პახტაკორმა“ კაბოჯაში გამართა ამ ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვა 2:0.

ქოხტაგორის ფერდობებზე

ყოველი წლის მიწურულში მოთხილამურეები ბაკურიანში ხსნიან ზამთრის სპორტულ სეზონს, სადაც თამაშდება გაზეთ „ლელოს“ პრიზი. ეს პრიზი ამალ სეზონში მოიპოვა „ბურევესტნიკის“ გუნდმა.

სლალომსა და სლალომ-გიგანტში ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. გოგოლაძემ, ვაკთა შორის ამ სახეობებში პირველები იყვნენ ა. ჯეირანაშვილი და შ. კოზანაშვილი.

... ბრძოლა

... ფინალი

ჰასტინგსის საახალწლო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირის ფინიშის პარტიები გამოირჩევა მაღალი შემოქმედებითი ბრძოლით, ზოგჯერ მოულოდნელი შედეგებით. შეიცვალა ლიდერთა ჯგუფის შემადგენლობა. მაგალითად, თუ აქამდე სატურნირო ცხრილის სათავეში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი და იუგოსლავიელი გროსმაისტერი გლიგორიჩი იყვნენ, ახლა სმისლოვის ადგილი გროსმაისტერმა კოტოვმა დაიკავა.

პირველობის საკითხს სწორედ ამ მოჭადრაკეთა ბრძოლა გადაწყვეტს უკანასკნელ ტურებში.

ლიდერთა მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ ასეთია: გროსმაისტერებს კოტოვსა და გლიგორიჩს ხუთ-ხუთი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ხოლო სმისლოვს — ხუთი ქულა. აღსანიშნავია, რომ გადადებული პარტიების დამთავრებისას სმისლოვმა დაამარცხა გლიგორიჩი.

... ბრძოლა

... ფინალი

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 6-46-10, განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგან დის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნე ბის, ინფორმაციის — 2-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

УЭ 05803

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

3